სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/173

ქ. თბილისი

1 ნოემბერი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული არჩევნების შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის „ო“ ქვეპუნტის და მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 1 ნოემბრის №01-05-02/30 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად აკადემიურ საბჭოში ჩატარებული კენჭისყრის შედეგები და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის №2 ოქმის (01.11.2024წ.) საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე არჩეულ იქნას დავით მახვილაძე;

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული კანდიდატი წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) დასამტკიცებლად;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**